საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური წარმოების შეწყვეტის თაობაზე

მეოთხე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ოთარ კაჭკაჭაშვილი - კოლეგიის თავმჯდომარე

ინგა ბერიძე - კოლეგიის წევრი

ანა ხურციძე - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი – ადვოკატი მ. ლ. /სიითი №/, რ. ტ., რ. ტ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 31.07.2023

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: №071/23

საჩივარი შეტანილია: რ. ც.-ის მიმართ

საჩივრის მოთხოვნა: რ. ც.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2023 წლის 31 ივლისს სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ადვოკატმა მ. ლ.-მ, რ. ტ.-მა და რ. ტ.-მა. საჩივრის ავტორებმა მოითხოვეს რ. ც.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

II სამოტივაციო ნაწილი

2. **ფორმალური წინაპირობების შემოწმება:**

2.1 რ. ც. არ არის სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ მოქმედი წევრი.

3. **შემაჯამებელი დასკვნა**

საპროცესო კოლეგია გაეცნო საქმის მასალებს, და დაადგინა, რომ რ. ც.-ის მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური წარმოება, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-11 მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, რადგან საჩივარზე მოპასუხე პირი, რ. ც., არ არის ადვოკატი.

4. **სამართლებრივი შეფასება**

4.1 „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ,,ადვოკატი არის თავისუფალი პროფესიის პირი, რომელიც ემორჩილება მხოლოდ კანონსა და პროფესიული ეთიკის ნორმებს და გაწევრიანებულია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში, ხოლო ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-11 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ,,ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მოქმედება ვრცელდება ადვოკატებზე."

4.2 სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის'' ადვოკატთა ერთიანი სიის მონაცემების თანახმად, საჩივარზე მოპასუხე პირი, რ. ც. არ არის სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის'' წევრი, ადვოკატი. შესაბამისად, ეთიკის კომისია არ არის უფლებამოსილი განიხილოს მის მიერ ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსითა და ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრულ ნორმათა სავარაუდო დარღვევის საკითხი, ვინაიდან მასზე არ ვრცელდება ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონითა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილი პროფესიული სტანდარტები.

4.3 საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-11 მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №072/23 რ. ც.-ის მიმართ შეწყდეს დისციპლინური წარმოება.
2. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება გაეგზავნოთ მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმის შეწყვეტის თაობაზე საბოლოოა და არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ოთარ კაჭკაჭაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ინგა ბერიძე/

კოლეგიის წევრი: /ანა ხურციძე/